გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 217

2023 წლის 8 დეკემბერი

ქალაქი გორი

„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის #228 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მიმდინარე წლის 20 ნოემბერს შემოსულია საკრებულოს წევრის გურამ კორინთელის მოხსენებითი ბარათი #:21-21233249, ფრაქციაში წევრად გაერთიანების თაობაზე. ჩატარდა ფრაქციის სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა საკითხი ფრაქციის წევრად გურამ კორინთელის გაერთიანების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის #228 განკარგულების პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„კ) გურამ კორინთელი - ფრაქციის წევრი“;
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**